თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6356051

ნომერი: AR1943348

თარიღი : 17.01.2023

გაცემის თარიღი : 07.03.2023

გაცნობის თარიღი : 07.03.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 22, N24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვარლამ ცეკვავა პ/ნ 01805046066
- თბილისი მცხეთის გას. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 17 იანვრის №AR1943348 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2022 წლის 23 მაისის №5949264 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 25 იანვრის №6298198 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის (მათ შორის კონსტრუქციული პროექტის) გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული. კერძოდ, წარმოდგენილ +29.70 და +33.00 ნიშნულის გეგმებზე შეცვლილია კოლონების ზომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2022 წლის 23 მაისის №5949264 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები, მხოლოდ ფართობების გასწორებით, გეგმარების (მათ შორის კოლონების ზომების) ცვლილების გარეშე.
ვინაიდან სამსახურის 2023 წლის 25 იანვრის №6298198 ბრძანებას გაეცანით 2023 წლის 25 იანვარს, ხოლო, განმეორებითი განცხადება წარმოადგინეთ 02 მარტს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 04 (ოთხი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 04 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში.
აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2023 წლის 17 იანვრის №AR1943348 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.